ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის პირობების (ხელშეკრულების) # MCI/TR/001/23
თავსართი (მნიშნელოვანი პირობები)

დაზღვევის პირობების (ხელშეკრულება) (შემდგომში „ხელშეკრულება“) მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას ხელშეკრულებაში მითითებული დაზღვევის პირობების შესახებ.
ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაზღვევის განაცხადი, სადაზღვევო პოლისი.

1. მზღვეველი - სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია პრაიმი;
2. დაზღვევის ხელშეკრულების სახეობა: ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;
3. სადაზღვევო დაფარვა (სამი სექცია): (1) ავტოსატრანსპორტო საშუალების ფიზიკური დაზიანება და გატაცება (CASCO); (2) მესამე პირთა (ქონება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე) წინაშე დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა (MTPL); (3) დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA);
4. თითოეული სექციის მიხედვით დაზღვეული რისკები, სადაზღვევო თანხის ოდენობა, ზარალის არაანაზღაურებადი ნაწილის - უპორობო ფრანშიზის ოდენობა და გამოყენების წინაპირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამივე სექციისათვის სადაზღვევო შენატანის (პრემია) ოდენობა/გადახდის წესი, სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა, დასაწყისი/დასრულება (წელი, თვე, რიცხვი, დაზღვევის დაწყების დრო)) და ხელშეკრულების მოქმედების ვადა (დასაწყის/დასასრული (წელი, თვე, რიცხვი)) მითითებულია სადაზღვევო პოლისში (შემდგომში “პოლისი”).
   პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.
5. დამზღვევის მიერ პრემიის გარდა შესაძლო ფინანსური ხარჯები:
სადაზღვევო პრემიის განწილვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის დროს, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან მთლიანი სადაზღვევო პრემიის ერთდროულად გადახდა (4.2.7. ქვეპუნქტი);
6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისათვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ დეტალური პროცედურები მითითებულია ხელშეკრულების 4.3. პუნქტში.
7. დამზღვევი ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას და რომლებსაც შეუძლიათ

გავლება მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩაითვლება ის გარემოება, რომლის შესახებაც მითითებულია დაზღვევის განაცხადში ან/და დამზღვევისათვის ცნობილია დაზღვევასთან დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაცია.
თუ ამ წესის საწინააღმდეგოდ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოებების შესახებ ან დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ასეთი გარემოებების შეტყობინებაზე, მაშინ მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.
ასეთივე შედეგი დგება, თუ დამზღვევმა მიაწოდა მზღვეველს არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია ან დაუყოვნებლივ არ მიაწოდა ინფორმაცია საფრთხის გაზრდის შესახებ.
ზემოაღნიშნული შემთხვევისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს იმ დღიდან, როდესაც მზღვეველისათვის გახდა ცნობილი ინფორმაციის არ მოწოდების/ინფორმაციის არასწორი/არაზუსტი მონაცემების თაობაზე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა განზრახ დუმდა, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს ვადის დაცვის გარეშე.
საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის მაგივრად მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის ოდენობის გაზრდა.
დამზღვევი მოვალეა, ასევე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე, აცნობოს მზღვეველს.
თუ ამ წესის საწინააღმდეგოთ მზღვეველს არ ეცნობა შემთხევის დადგომის შესახებ და ამ გარემოებამ მზღვეველის ინტერესები არსებითად დაირღვა, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან.

8. გამონაკლისები (შემთხვევები, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას):

8.1. პირველი სექციისათვის (CASCO) (1.3 პუნქტში);

8.2. მეორე სექციისათვის (MTPL) (2.2. პუნქტში);

8.3. მესამე სექციისათვის (MPA) (3.2. პუნქტში (3.6 ქვეპუნქტი));

8.4. საერთო გამონაკლისები სამივე სექციისათვის (4.1 პუნქტში);

ანაზღაურებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები მითითებულია 4.1.19. 4.2.2 და 4.2.3. ქვეპუნქტებში, 4.4.16. ქვეპუნქტის მეორე აბზაცში;

9. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები მითითებულია 4.2.3 , 4.2.6, ქვეპუნქტში და 4.6. პუნქტში.

10.დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის პრეტენზიების წარდგენის/პასუხის მიღების თაობაზე ინფორმაცია მითითებულია 4.7.12 ქვეპუნქტში.

11.მზღვეველის საზედამხედველო ორგანოა - სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მის: ქ.თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3. ტელ: +995 32 223 44 10;
ელ-ფოსტა: info@insurance.gov.ge